



იუსტიციის უმაღლესი სკოლა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სხვადასხვა საოფისე მოწყობილობის და საკანცელარიო ნივთების (CPV3019000) სახელმწიფო შესყიდვა

სატენდერო დოკუმენტაცია

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

ქ.თბილისი
2017 წ.

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია (გვერდი 3)
2. დანართი N1 (გვერდი 7)
3. დანართი N2 (გვერდი 8)
4. დანართი N3 (გვერდი 9)
5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი (გვერდი 10)

ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. შესყიდვის ობიექტი:

1.1 სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები.

2. ტექნიკური დავალება:

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური, ხარისხობრივი პარამეტრები და რაოდენობა.

#	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა
1	კონვერტი "დიპლომატიური"	ზომა 105x240მმ, 90 გრამიანი, წებოვანი ლენტით.	250 ცალი
2	კონვერტი A5	A5 ფორმატის თეთრი, 110 გრამიანი, წებოვანი ლენტით.	500 ცალი
3	საკანცელარიო რვეული	ცალხაზიანი/უჯრედიანი 80 ფურცელი	3 ცალი
4	მაკრატელი	სიგრძე არანაკლებ 175 მმ., არაუმეტეს 185 მმ., პლასტმასის და რეზინის კომბინირებული კორპუსით, საჭრელი პირის სიგრძე არანაკლებ 80მმ, საჭრელი პირის სიგანე არანაკლებ 2მმ, უჟანგავი მეტალის.	5 ცალი
5	სკოჩი დიდი	სკოჩი შესაფუთი გამჭვირვალე, ზომები: 45მმx91მ.	10 ცალი
6	სკოჩი დიდი	სკოჩი შესაფუთი გამჭვირვალე ზომები: 45მმ 36.5მ.	10 ცალი
7	სკოჩი პატარა	სკოჩი საკანცელარიო ზომები: 18მმx27.5მ.	10 ცალი
8	სკოჩი პატარა	სკოჩი პატარა გამჭვირვალე ზომები: 12მმx14მ.	10 ცალი
9	რეზინის რგოლები	ფულის რეზინა 100გ პლასტიკურ შეფუთვაში.	1 ცალი
10	კორექტორი ლენტისანი	ლენტის ზომები 5მმx8მ; დამჭიმი მექანიზმით და წვერის დამცავი ხუფით.	10 ცალი
11	კორექტორი ფუნჯით	პლასტმასის კორპუსით, 20 მლ.	10 ცალი
12	სათლელი/საშლელი	სათლელი საშლელით, ზომები 55*25*15მმ, ერთი მხრიდან საშლელი, მეორედან სათლელი. ორივე მხრიდან ხუფით. შუალედში გამყოფი ზოლით.	10 ცალი
13	ტუშიანი კალამი	გელიანი კალამი, 0.5 მმ. წვერით. ოქროსფერი ფერის, მეტალის გალვანიზებული კორპუსით. კალმის ბოლო, თავი და საკიდი მონიკელებული ვერცხლისფერი ლითონის. ვოლფრამის კარბიდის წვერით. კალმის წონა პასტის გულის და თავსახურის გარეშე არანაკლებ 18 გრ. კალმის გულის წონა არანაკლებ 0,7 გრ . კალმის ძირითადი ტანის სიგრძე- 130მმ-დან 135 მმ-მდე ; კალმის ძირითადი ტანის დიამეტრი - 6,8მმ- დან 7,2 მმ-მდე; კალმის გულის სიგრძე - არანაკლებ 130 მმ; კალმის გულის დიამეტრი დაბოლოების მხრიდან - არანაკლებ 4 მმ; კალმის გულის დიამეტრი წვეროს მხრიდან - არანაკლებ 0,5 მმ; კალმის გულის მეტალის წვეროს სიგრძე - არანაკლებ 10 მმ. ფერი: შავი 2, ლურჯი 6, წითელი 4. იხილეთ სურათი N2	12 ცალი

14	ორგანიზერი	მბრუნავი მექანიზმით, პრიალა ზედაპირით, არანაკლებ 15 საგნიანი: სტეპლერი #10; სტეპლერის ტყვია #10; ანტისტეპლერი; საშლელი; ორმაგი სათლელი; მაკრატელი; საკანცელარიო დანა; სახაზავი 15სმ; ფანქარი HB (2ცალი); კალამი 0,7მმ; ჭიკარტი (10ცალი); სკრეპი (10ცალი); კლიპი (4ცალი).	5 ცალი
15	სტეპლერი დიდი	24/6,26/6, 26/8 და 24/8, მეტალის და პლასტმასის კომბინირებული კორპუსით, არანაკლებ 25 და არაუმეტეს 50 ცალი 80გრ სისქის ფურცლის აკინძვის შესაძლებლობით. ფურცლის ჩატვირთვის სიგრძე არანაკლებ 70მმ, 55მმ სიღმის პირით. ერთდროულად არანაკლებ 100 ცალი ტყვიის ჩატვირთვის შესაძლებლობით.	10 ცალი
16	სტეპლერი პატარა	#10, მეტალის და პლასტმასის კომბინირებული კორპუსით, მეტალის მყარი ხიდით, დაბოლოებაზე ანტისტეპლერით. არანაკლებ 12 ცალი 80გრ სისქის ფურცლის აკინძვის შესაძლებლობით. ფურცლის ჩატვირთვის სიღრმე არანაკლებ 50მმ, ერთდროულად არანაკლებ 100 ცალი ტყვიის ჩატვირთვის შესაძლებლობით.	10 ცალი
17	ანტისტეპლერი	მეტალის ჩამკეტით	10 ცალი
18	სტეპლერის ტყვია 24/6	№24/6 -სტეპლერისთვის, მასალის სისქე 57 მკრ,1000 ცალიანი შეკვრა	30 შეკვრა
19	საკანცელარიო დანა დიდი	დიდი, მეტალის კომბინირებული კორპუსით, სათადარიგო დანის პირით, მრავალჯერადი გამოყენების, საჭრელი პირების შეცვლის და დანის პირის არანაკლებ 10 პოზიციაზე დაფიქსირების ფუნქციით. ტარი პლასტმასის, რეზინის ელემენტებით. დანის პირის მიმართველი და ჩამკეტი ფიქსატორი ლითონის. ინდივიდუალურად შეფუთული ბლისტერში და ორი სათადარიგო პირით კომპლექტში, დანის ბუდის სიგრძე არანაკლებ 140 მმ და სიგანე არაუმეტეს : 18მმ.	10 ცალი
20	საკანცელარიო დანა პატარა	მეტალის და პლასტმასის კომბინირებული კორპუსი, მრავალჯერადი გამოყენების, საჭრელი პირების შეცვლის და დანის პირის არანაკლებ 10 პოზიციაზე დაფიქსირების ფუნქციით. კორპუსის სიგრძე არანაკლებ 140 მმ და არაუმეტეს 150 მმ . უკანა მხარეს პლასტმასის საკიდით, ავტომატური ჩაკეტვის ფუნქციით, კორპუსში სათადარიგო პირის სათავსოთი.	10 ცალი
21	სამაგიდე თარო	3 თაროიანი მეტალის ბადე	5 ცალი
22	კალამი	პლასტმასის კორპუსით, არანაკლებ 13,4 მმ და არაუმეტეს 13.7მმ კორპუსით, მეტალის დილაკით და საკიდით, კორპუსის ცენტრში მეტალის არაუმეტეს 1მმ რკალით. საწერი ბურთულის დიამეტრი 0.7მმ, კორპუსის დიამეტრი არანაკლებ 7,8მმ და არაუმეტეს 8,2მმ. კორპუსის ფერი ლურჯი ან თეთრი შემსყიდველთან შეთანხმებით. იხილეთ სურათი N1	3000 ცალი

2.2 ტექნიკური დავალების სავალდებულო მოთხოვნები:

2.2.1 იმ შემთხვევაში, თუ მოწოდებული საქონელი გამოდგება უხარისხო/ქარხნული წუნით ან სხვა ობიექტური მიზეზით ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს მიმწოდებელმა შეტყობინების მიღებიდან 2(ორი) სამუშაო დღის ვადაში უნდა ჩაანაცვლოს წუნდებული, ახალი შესაბამისი საქონლით.

3. სატენდერო წინადადების ფასი:

3.1 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულება გაანგარიშებული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის (დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნაღები, და სხვა) წარდგენიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

4.2 დაფინანსების წყარო: 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები.

4.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. მიწოდების პირობები და ვადები:

5.1 შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური დავალებაში მოცემულ მახასიათებლებს.

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით. მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ნოდარ ბოხუას #19.

6. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ასატვირთი დოკუმენტები:

6.1 რეკვიზიტები დანართი #1-ის შესაბამისად.

6.2 ინფორმაცია აღნიშნული პროფილით მუშაობის არანაკლებ ბოლო ორი წლის გამოცდილების შესახებ, (წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი წერილობით ადასტურებს ამ ინფორმაციას და თან ურთავს 2015 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე პერიოდში, თითოეული 12 კალენდარული თვის განმავლობაში, მისი კონტრაქტორი ხუთი სხვადასხვა ორგანიზაციის დასახელებას, სატენდერო განცხადების ნომერს ან საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (დანართი #2-ის შესაბამისად));

6.3 არანაკლებ იმ ორი ორგანიზაციის რეკომენდაცია, რომელსაც პრეტენდენტი მიუთითებს 2016 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე პერიოდში, დანართ N3-ში.

6.4 ხარჯთაღრიცხვა (ფასების ცხრილი) დანართი #2. (აუცილებლად უნდა მიეთითოს შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის დასახელება და სპეციფიკაციები, ასევე ინფორმაცია მწარმოებელი ქვეყნის შესახებ).

7. ნიმუშების წარმოდგენა და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება:

7.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის ნიმუშები, როდესაც ტენდერს მინიჭებული აქვს სტატუსი „შერჩევა-შეფასება“, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.

7.1 თუ ტენდერში პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია

7.2 შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის შეძენასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები ან/და ანგარიშფაქტურები, ხოლო უცხო ქვეყნის მიმწოდებლის შემთხვევაში ანგარიშფაქტურები, ან ინვოისები, რომელთა წარმოდგენითაც დადასტურდება პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა.

8. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგი საკონტაქტო პირისგან:

8.1 სატენდერო კომისიის აპარატი, ვასილ ჭიჭაღუა ტ: 238 11 61; ელ-ფოსტა: vtchitchagua@hsoj.ge.

9. დამატებითი პირობები

- 9.4 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
- 9.5 აღნიშნულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ სრულად ეთანხმება ამ კონკრეტული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.
- 9.6 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ქართულ ენაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.7 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება ან ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
- 9.8 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს შესყიდვის განხორციელება, როდესაც ამის აუცილებლობა წარმოიქმნება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

სატენდერო წინადადების დანართი №1 (რეკვიზიტები)

გრაფა №1	გრაფა №2 (ივსება პრეტენდენტის მიერ)
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
ელ-ფოსტა:	
მომსახურე ბანკის დასახელება:	
მომსახურე ბანკის კოდი:	
ანგარიშსწორების ანგარიში:	

პრეტენდენტის ხელმოწერა:

(ხელმძღვანელი)

დამოწმება ბეჭდით:

(მისი არსებობის შემთხვევაში)

ხარჯთაღრიცხვა (ფასების ცხრილი)
(პრეტენდენტის მიერ შესავსები ფასების ცხრილი)

დანართი №2

პრეტენდენტის დასახელება _____

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
				სულ ჯამი	

პრეტენდენტის ხელმოწერა: _____
(ხელმძღვანელი)

დამოწმება ბეჭდით:
(მისი არსებობის შემთხვევაში)

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ:

დანართი №3

პრეტენდენტის დასახელება _____

№	ხელშეკრულების დადების პერიოდი	შემსყიდველის დასახელება	სატენდერო განცხადების ნომერი, ან საკონტაქტო ტელეფონის ნომერი
1	2	3	5
1	01.01.2015-01.01.2016		
2			
3			
4			
5			
1	01.01.2016-01.01.2017		
2			
3			
4			
5			

პრეტენდენტის ხელმოწერა: _____

(ხელმძღვანელი)

დამოწმება ბეჭდით:

(მისი არსებობის შემთხვევაში)

ხელშეკრულების პროექტი
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
სატენდერო განცხადების ნომერი: NAT

ქ. თბილისი

... 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“, მისი დირექტორის ----- სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“), და მეორეს მხრივ -----, მისი დირექტორის ----- სახით, (შემდგომში „მიწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ხელშეკრულების საგანია (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) სხვადასხვა საოფისე მოწყობილობის და საკანცელარიო ნივთების (CPV3019000) შესყიდვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 1.2 შესყიდვის წყარო: 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.
- 1.3 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ, აგრეთვე ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- ლარს, მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით.
- 2.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

- 3.1 ხელშეკრულების ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
- 3.2 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას #19.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესახებ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორის უფროსი ნიკოლოზ ბუაჩიძე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 5.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
- 5.2 ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის (დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, და სხვა) წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

- 6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
 გ) ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც ამის აუცილებლობა წარმოიქმნება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გათვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წერილობითი ფორმით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის წუნის შესახებ.

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) შეტყობინების მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში ჩაანაცვლოს წუნდებული საქონელი ახლით, თუ მიწოდებული საქონელი გამოდგება უხარისხო, ქარხნული წუნით ან სხვა ობიექტური მიზეზით საქონლის გამოყენება შეუძლებელია დანიშნულებისამებრ.

გ) ჯეროვნად, დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ობიექტის ნაწილის და წუნდების მითითებით.

7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორის უფროსი ნიკოლოზ ბუაჩიძე.

მუხლი 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.2 იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას და პირობებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ან აზრს კარგავს დამატებითი ვადის გამოყენება, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტა).

9.5 ხელშეკრულების შეწყვეტასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9.6 ხელშეკრულება ასევე, შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მოლაპარაკების გზით.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ორ კვირაზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

11.3 დაუძლეველი ძალის შემთხვევაში მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. სხვა პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 აპრილამდე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

სურათი №1



სურათი №2

